


მომხმარებლის სახელმძღვანელო
ელექტრო სატრანსპორტო საშუალების
დასატენი მოწყობილობა IC-CPD
(საკაბელო კონტროლისა და დაცვის მოწყობილობა)



სარჩევი

ელექტრო სატრანსპორტო საშუალების დასატენი მოწყობილობა IC-CPD

- 1. ზოგადი ინფორმაცია 2
- 2. IC-CPD დასატენი მოწყობილობის მიმოხილვა 3
- 3. გამოყენებული გამაფრთხილებელი ნიშნები, სიმბოლოები და პიქტოგრამები 4
- 4. უსაფრთხოების ინსტრუქცია 6
- 5. ძირითადი მახასიათებლები 9
- 6. მომხმარებლის უპირატესობები და მახასიათებლები 10
- 7. ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალების დამტენი შემავალი ხვრელი და ავტომობილის კონექტორი 11
- 8. ხელმისაწვდომი კვების სადენი სამრეწველო დენცეკტიებისთვის 12
- 9. ხელმისაწვდომი კვების სადენები შიდა დენცეკტიებისთვის 12
- 10. ICCB კონტროლს ყუთის წინა ეკრანი 14
- 11. მოქმედება 15
- 12. დიაგნოსტიკა 15
- 13. ხარვეზის გამოსწორება 15
- 14. ICCB კონტროლის ყუთის უკანა ეტიკეტი 17

- 15. მოვლა და შენახვა 18
- 16. პროდუქტის ცვლილებები 18
- 17. განკარგვა 19
- 18. ინფორმაცია გარანტიის შესახებ 19
- 19. სპეციფიკაციები 20
- 20. სერვისი 21
- 21. შუასადები (არჩევითი) 21

აბრევიატურები

- BEV ბატარეაზე მომუშავე ელექტრო მანქანა
- PRCD-S პორტატული გადართვის ... მიმდინარე რეზიდუალური მოწყობილობა
- EVSE ელექტრო სატრანსპორტო საშუალების მომმარაგებელი მოწყობილობა
- FCC ფედერალურ კომუნიკაციათა კომისია
- ICCB საკაბელო კონტროლის ყუთი
- IC-CPD ... საკაბელო კონტროლისა და დაცვის მოწყობილობა
- LED დიოდური მანათლებელი (სინათლის ინდიკატორი)
- PHEV შესაერთებელი ჰიბრიდული ელექტრომობილი

1. ზოგადი ინფორმაცია

ეს მომხმარებლის სახელმძღვანელო ეყრდნობა პროდუქტის გამოქვეყნების დროს მოქმედ უახლეს ინფორმაციას. APTIV იტოვებს უფლებას შეცვალოს პროდუქტი წინასწარი შეტყობინების გარეშე. პროდუქტზე განხორციელებულმა ნებისმიერმა ცვლილებამ ან შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს გარანტიის დაკარგვა, თუ ისინი არ განხორციელებულა აპრობირებული სერვის ვორქშოფის მიერ.

თუკი გაგაჩნიათ რაიმე შეკითხვა პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, გთხოვთ მიმართეთ თქვენს სერვისის წარმომადგენელს. თქვენი რეგიონის მომხმარებელთა მომსახურებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციასთან დასაკავშირებლად, გთხოვთ, გაეცნოთ თქვენი ავტომობილის სახელმძღვანელოს! 📖

ინფორმაცია კომპანიის შესახებ


Aptiv Services Germany GmbH
 Am Technologiepark 1
 D-42119 Wuppertal
 გერმანია

ინტერნეტი: www.apativ.com

2. IC-CPD-ის მიმოხილვა

სისტემის ინდივიდუალური კომპონენტის განმარტებისთვის, გთხოვთ, იხილეთ ქვემოთ მოცემული მიმოხილვა.

- A** სატრანსპორტო საშუალების დამტენი შესაერთებელი
- B** ავტომობილის კონექტორი (➔ გვერდი 11)
- C** მართვის ყუთი (ICCB)
- D** AC კვების სადენი
- E** კვების ელემენტი
- F** ქსელის დენცეპტი
- G** LED-ებიანი წინა ეკრანი(➔ გვერდი 14)
- H** უკანა ეტიკეტი(➔ გვერდი 17)



3. გამოყენებული გამაფრთხილებელი ნიშნები, სიმბოლოები და პიქტოგრამები

გაფრთხილებები

საფრთხე

მიანიშნებს გარდაუვალი საფრთხის შესახებ. მოცემული ინსტრუქციის გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს სიკვდილს ან სერიოზულ დაზიანებას.

გაფრთხილება

მიუთითებს სავარაუდო საშიშროების შესახებ. მოცემული ინსტრუქციის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან სერიოზული დაზიანება.




გაფრთხილება

მიუთითებს საშიშ ვითარებაზე. ამ ინსტრუქციის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი ან მცირედი დაზიანება.

შენიშვნა

ყურადღებას ამახვილებს სიტუაციებზე, რომელთა არგათვალისწინებამ შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური ზიანი.

სიმბოლოები

-  ცნობარი სხვა სექციათა შესახებ მომხმარებლის სახელმძღვანელოში
-  სხვა დოკუმენტაციათა ან ინსტრუქციათა ცნობარი
-  გამოყენების ინსტრუქცია

3. გამოყენებული გამაფრთხილებელი ნიშნები, სიმბოლოები და პიქტოგრამები

პიქტოგრამები



ინსტრუქცია:
მიჰყევით ინსტრუქციას



გაფრთხილება:
ელექტრული ძაბვა



გაფრთხილება:
ცხელი ზედაპირი



გაფრთხილება:
დაბრკოლებები ადგილზე



ფრთხილად მოეპყარით

ინსტრუქცია:
ფრთხილად მოეპყარით დამტენ მოწყობილობას



აკრძალვა:
დაუშვებელია მრავლობითი დენცქვიტებისა და გადამყვანთა გამოყენება



აკრძალვა:
დაუშვებელია დამაგრძელებელი სადენის გამოყენება



აკრძალვა:
არ გადაკვეთო სადენი



აკრძალვა:
ნუ მოაქცევთ პირდაპირი მზის სხივების ქვეშ, დაუშვებელია პირდაპირი საფარის გამოყენება



აკრძალვა: არ ჩადოთ წყალში, მოარიდეთ პირდაპირ ნაკადს წყლისგან ან წყლის შხეფებისგან



აკრძალვა:
პრონაირი კონტაქტი თოვლთან ან ყინულთან



აკრძალვა:
არ გამოიყენოთ დამტენი მოწყობილობები შედუღებული კაბელებით



აკრძალვა:
არ გადაუაროთ შესაერთებელს, კონტროლის ყუთსა და სადენებს




აკრძალვა:
არ გამოიყენოთ IC-CPD, თუ იგი დაზიანებულია



აკრძალვა: არ შეაკეთოთ IC-CPD და არ გახსნათ ის



აკრძალვა:
დატენვისას არ გამოაერთოთ კვების ელემენტი



დასაწყისისთვის საჭირო ტემპერატურის დიაპაზონი



დასაწყისისთვის საჭირო ტემპერატურის დიაპაზონი



4. უსაფრთხოების ინსტრუქცია

⚠ საფრთხე

ელექტრული შოკი ან ხანძრის გაჩენის საშიშროება



არასწორად დაყენებულ დენცქვიტებს შეუძლიათ გამოიწვიონ ელექტრული შოკი ან ხანძარი, როდესაც მაღალ-ძაბვიანი ბატარეა იმუხტება ავტომობილის დამტენი შესაერთებლით.

- გამოიყენეთ IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა მხოლოდ სწორად დამინებულ ელექტროენერჯის ქსელებში
- ქსელის დენცქვიტა, რომელიც გამოიყენება დასატენად, უნდა იყოს დაკავშირებული დაცულ წრედთან, რომელიც შეესაბამება ადგილობრივ კანონებსა და სტანდარტებს
- დენცქვიტა დაცული უნდა იყოს ფუნქციონალურ მუხტზე-მომუშავე ჩამკეტის (RCCB) გამოყენებით
- მიყევით უსაფრთხოების ინსტრუქციებს საინსტალაციო და ავტომობილის სახელმძღვანელოში.

⚠ საფრთხე

ელექტრული შოკი, მოკლე ჩართვა, ცეცხლი, აფეთქება



დაზიანებული ან გაუმართავი დამტენი სადენის ან გაუმართავი, დაზიანებული დენცქვიტის გამოყენებამ, ან IC-CPD-ის დამტენი დანადგარის არასწორმა გამოყენებამ ან სიფრთხილის ზომების მიუღებლობამ შეიძლება გამოიწვიოს მოკლე ჩართვა, ელექტრული შოკი, აფეთქება, ხანძარი ან დამწვრობა.

- არ გამოიყენოთ IC-CPD დატენვის მოწყობილობა, თუ იგი დაზიანებულია და / ან ჭუჭყიანი. გამოიყენებამდე შეამოწმეთ სადენები და კონექტორი დაზიანებასა და ჭუჭყზე.



- არ გამოიყენოთ გაცვეთილი ან დაზიანებული დენცქვიტა. კვების ელემენტები მყარად უნდა იჯდეს დენცქვიტაში, ყველა ადგილობრივი ბრძანებისა და განკარგულების შესაბამისად

IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობის შეერთებამ და მუშაობამ გაცვეთილ ან დაზიანებულ დენცქვიტასთან ერთად შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დაზიანება ან ხანძარი!

- არ მოხსნათ საფარი და არ გახსნათ ბუდე. მოწყობილობა არ შეიცავს ნაწილებს, რომელთა შეკეთებას მომხმარებელი თავად შეძლებს. დაუტოვეთ შესაკეთებელი საქმე კვალიფიციურულ პერსონალს (იხილეთ ინფორმაცია სერვისის შესახებ → 21-ე გვერდზე)
- არ შეეხოთ მანქანის კონექტორის შიგნით მდებარე ნაწილებს
- ნუ გამოიყენებთ გადაჭარბებულ ძაბვას IC-CPD-ის დამტენ მოწყობილობაზე! მოწყობილობისთვის შესაფერისი ძაბვის მქონე დენცქვიტას ასარჩევად გთხოვთ მიმართეთ უკანა ეტიკეტზე მითითებულ სპეციფიკაციებს
- არ გამოიყენოთ დამავრძელებელი სადენები, საკაბელო დაზგა, დიდი რაოდენობით დენცქვიტა, (გადასატანი) გადამყვანები, დროის დაყოვნების რეგულატორი, და ა.შ.



4. უსაფრთხოების ინსტრუქცია

- არ შეასრულოთ რაიმე სახის ცვლილებები ან სარემონტო სამუშაოები ელექტრონულ კომპონენტებზე და არ გახსნათ მოწყობილობა



- არ შეეხოთ მანქანის დასატენი შემშვების კონტაქტსა და IC-CPD-ს დამტენ ალტერნატორებს
- მოარიდეთ დენცქვიტები, შესაერთებლები და IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობები ტენიანობას, წყალს, თოვლს, ყინულსა და სხვა სითხეებს. არასდროს ჩადოთ წყალში



- ჭექა-ქუხილის დროს გათიშეთ IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა დენცქვიტადან
- არ შეუერთოთ რაიმე ნივთი დატენვის პროცესში მყოფ ავტომობილის შესაერთებელს ან IC-CPD-ის დამტენ ხელსაწყოს

- განმინდეთ IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მაკონტროლებელი ერთეული მთლიანად გათიშულია ელექტროგადამცემი ქსელიდან და მანქანიდან. გასაწმენდად გამოიყენეთ მშრალი ქსოვილი
- IC-CPD-ის დატენვის მოწყობილობებს არ უნდა მართავდნენ ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები
- IC-CPD-ის დატენვის მოწყობილობებს არ უნდა მართავდნენ ის პირები, რომლებიც არ არიან გათვითცნობიერებულნი მის გამოყენებასთან ან არ წაუკითხავთ მომხმარებლის სახელმძღვანელო
- შეინახეთ IC-CPD დამტენი მოწყობილობა შშმ პირებისა და ბავშვებისგან შორს, რომლებსაც არ შეუძლიათ მის მართვაში შემავალი რისკების სწორად შეფასება
- უყურადღებოდ დატენვისას არაუფლებამოსილ პირებს (მაგ. მოთამაშე ბავშვებს) არ უნდა ჰქონდეთ წვდომა IC-CPD-ის სატენ მოწყობილობაზე

⚠ გაფრთხილება

აფეთქების ან ხანძრის საშიშროება

იმისათვის, რომ დაადგინოთ არის თუ არა მანქანა ალტერნატიული დამტენი შესაერთებლით, მიმართეთ ავტომობილის სახელმძღვანელოს.

IC-CPD-ის დამტენმა მოწყობილობამ შეიძლება გამოიწვიოს ნაპერწკლები და აალება ან აფეთქების მომასწავლებელი ორთქლი.

- დატენვისას დარწმუნდით, რომ მართვის ყუთი მდებარეობს მინიმუმ 20 ინჩით (50 სმ) ზემოთ, რათა შეამციროთ აფეთქების რისკი, განსაკუთრებით ავტოფარეხებში
- არ გამოიყენოთ დასატენი და კონტროლის მოწყობილობა პოტენციურად ასაფეთქებელ გარემოში
- ეს მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების დატენვისთვის, რომელთა დატენვა არ საჭიროებს სავენტილაციო სისტემას

4. უსაფრთხოების ინსტრუქცია

შენიშვნა

დამტენი და მართვის მოწყობილობა შეიძლება დაზიანდეს

- არ გაასრილოთ IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა ბასრ კიდეებზე
- მოერიდეთ დამტენი სადენის გადაკეცვას



- არ გადაუაროთ შესაერთებელს, კონტროლის ყუთს ან სადენებს




- არ გამოიყენოთ არასტანდარტული წნევა IC-CPD-ზე



ფრთხილად მოეპყარით

- არ გამოიყენოთ IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა დასაშვები ტემპერატურის დიაპაზონის მიღმა -22 °F (-30 °C) 122 °F-მდე (+50 °C). უფრო დაბალ ან მაღალ ტემპერატურას

შეუძლია ზიანი მიაყენოს მოწყობილობას



- არ ეცადოთ დააკავშიროთ შეუსაბამო საავტომობილო კონექტორები და დამტენი შესაერთებლები
- არ გამოიყენოთ IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა სპირალურ სადენებთან ერთად



დანიშნულებისამებრ გამოყენება

- გამოიყენეთ დამტენი სადენი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფიქსირებულ ქსელურ დენქვითას
- აკრძალულია დამტენი სადენის გამოყენება სხვა მწარმოებლის ავტომობილებისთვის
- არასათანადო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ფუნქციების გაუმართაობა და დაზიანება. დამტენი მოწყობილობა ინტეგრირებული შიდა-საკაბელო კონტროლითა და

დაცვის მოწყობილობით (IC_CPD) APTIV-სგან არის მობილური დამტენი დანადგარი ელექტრო მანქანებისთვის, (EVSE) რომლის კავშირგაბმულობაც გამოიყენება ბატარიებით აღჭურვილი ელექტრომობილებისა (BEV) და ჰიბრიდული ელექტრო მანქანების დასატენად (PHEV)

უსაფრთხო, მოსახერხებელი მობილური IC-CPD (რეჟიმი 2) მფლობელს საშუალებას აძლევს დატენონ და შეაერთონ თავიანთი ავტომობილები პრაქტიკულად ყველგან 100 ვ -240ვ AC დენის ბადეებზე, რაც დამოკიდებულია რეგიონალური დენის ქსელსა და მოწყობილობის ვერსიაზე.

ეს სისტემა შედგება სამი ცალკეული კომპონენტისგან, რომლებიც ერთად გთავაზობთ ელექტრო სატრანსპორტო საშუალების დატენვის მყარ და საიმედო მეთოდს.

1. AC დენის კაბელი (შესაერთებლის ტიპი რეგიონის მიხედვით) (➔ გვერდები 3 და 12)
2. მართვის ყუთი ICCB (➔ გვერდები 3 და 13)
3. საავტომობილო კავშირის ტიპი (რეგიონის მიხედვით) (➔ გვერდები 3 და 11)


5. ძირითადი მახასიათებლები

- მომხმარებლის, ელექტრული ავტომობილისა და IC-CPD-ს დამტენი მონყობილობის უსაფრთხოების ღონეები
- დამინების მონიტორინგი (დამოკიდებულია მოდელზე)
 - თქვენი ვერსია აღჭურვილია დამინების მონიტორინგით, თუ იგი აჩვენებს შემდეგ სიმბოლოს მის უკანა ეტიკეტზე
- დამინების მონიტორინგის საკეტი IC-CPD-ს დამტენ მონყობილობასა და ავტომობილის კონექტორს შორის უსაფრთხო კავშირისთვის (მხოლოდ 1 ტიპის და GB/T-სთვის, ➔ გვერდი 11)
- IC-CPD-ის დამტენი მონყობილობა განკუთვნილია შიდა და გარე გამოყენებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის, გაეცანით უკანა ეტიკეტს (➔ გვერდი 17)





- დამინების მონიტორინგის ვერსიები არ მუშაობენ ელექტრო ქსელებში დამცავი გამტარის გარეშე
- ოთხი LED (წინა ეკრანის დეტალური აღწერა, ➔ გვერდი 14)
- ავტომატური გამომრთველის დამუხტვა (PRCD-S) წრედის ავტომატური დახურვით


6. მომხმარებლის უპირატესობები და მახასიათებლები

მოცემული IC-CPD დამტენი მოწყობილობა საშუალებას გაძლევთ დატენოთ თქვენი ბატარეაზე მომუშავე ელექტრომობილი (BEV) ან შესაერთებელი ჰიბრიდული ელექტრული ავტომობილი (PHEV) ნებისმიერი დამატებითი მოწყობილობის გარეშე. მოსახერხებელი დამაკავშირებელი სისტემა აძლევს ავტომობილის კონექტორს საშუალებას მოთავსდეს უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების დამტენის შესასვლელში და არსებულ ელექტრო ინფრასტრუქტურაში. IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა უზრუნველყოფს სტანდარტულ დამინებულ დენის კავშირს საცხოვრებელი კორპუსის დენცვლიტასთან 100 ვ-დან 240 ვ-მდე 50/60 ჰც (დამოკიდებულია მოდელის ვარიანტზე) და დამტენ დენს 6 ამპ-დან 16 ამპ-მდე, სპეციფიკაციების შესაბამისად, რომელიც მოცემულია თქვენი მოწყობილობის მართვის ყუთის უკანა ეტიკეტზე. 

ავტომობილის სადენი:

- IEC 62196-1-ის შესაერთებლები, დენცვლიტები, საავტომობილო კონექტორები და მანქანის დამაკავშირებლები – გამტარი დამუხტვა ელექტრო მანქანებისთვის – ნაწილი 1: ძირითადი მოთხოვნები
- IEC 62196-2-ის შესაერთებლები, დენცვლიტები, საავტომობილო კონექტორები და მანქანის დამაკავშირებლები – გამტარი დამუხტვა ელექტრო მანქანებისთვის – ნაწილი 2: განზომილებიანი თავსებადობისა და ცვალებადობის მოთხოვნები a.c. პინისა და კონტაქტური მილის აქსესუარები
- მიკროჩამრთველზე დაფუძნებული დამა დისტანციური ჩართველი (ექსკლუზიურად ავტომობილის კონექტორებისთვის ტიპი 1 და GB/T-სთვის,  გვერდი 11)

- ნაჭდევი ამობურცულობა მარტივი, სრილისგან გამძლე ჩაკეტვის კონტროლისთვის (ექსკლუზიურად ავტომობილის კონექტორისთვის ტიპი 1-ისა და GB/T-სთვის,  გვერდი 11)
- ენგონომიული რეზინის მოსაკიდებელი ოპტიმალური მხარდაჭერისთვის
- როდესაც სატრანსპორტო საშუალების დამტენის შესაერთებელი და ქსელის დენცვლიტა სწორად არის დაკავშირებული, ყველა ტერმინალის ინტერფეისი და ტერმინალი სრულად არის დაცული კონტაქტისგან
- ტემპერატურის მონიტორინგი
 - IC-CPD მუდმივად აკონტროლებს ტემპერატურას დენის წყაროს შიგნით, ისე რომ, ელექტროენერჯის მიღების გარკვეულ პირობებში ზედმეტი გახურება თავიდან იქნას აცილებული



7. ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალების დამტენი შემაჯავალი ხვრელი და ავტომობილის კონექტორი

ქვეყნის შესაბამისი სპეციფიკური მოწყობილობიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების დამუხტვის შესაერთებლები და ავტომობილების კონექტორები.




გამოიყენეთ მხოლოდ თქვენი ქვეყნისთვის დამტკიცებული დამტენი მოწყობილობა.

სატრანსპორტო
საშუალების დამტენი
შესაერთებელი

სატრანსპორტო
საშუალების
კონექტორი



ტიპი

ხელმისაწვდომი
დასამუხტე
შესაერთებლები





IEC 62196-2
ტიპი 2:

- ორი 3 მმ-იანი კონტაქტური სახელო კონტაქტთა სამართავად
- ორი 6 მმ-იანი კონტაქტური სახელო ხაზისთვის
- 6 მმ-იანი კონტაქტური სახელო დასამინებელი კონტაქტისთვის



IEC 62196-2/SAE-J1772-2009
ტიპი 1:

- ორი 1.5 მმ-იანი კონტაქტური სახელო კონტაქტის სამართავად
- ორი 3.6 მმ-იანი კონტაქტური სახელო ხაზისთვის
- 2.8 მმ-იანი კონტაქტური სახელო დასამინებელი კონტაქტისთვის



GB/T 20234.2
ტიპი GB/T

- ორი 3 მმ-იანი კონტაქტური პინები კონტაქტის სამართავად
- ორი 6 მმ-იანი კონტაქტური პინები ხაზისთვის
- 6 მმ-იანი კონტაქტური სახელო დასამინებელი კონტაქტისთვის

8. ხელმისაწვდომი კვების სადენი სამრეწველო დენცქვიტებისთვის

ობტიმალური დატენვის სიჩქარით დასამუხტად, გამოიყენეთ მხოლოდ შემდეგი ტიპის კვების ელემენტები. მაქსიმალური დატენვის სიმძლავრეა 3.6 კვტ (დამოკიდებულია ელექტროგადამცემზე/სახლის კავშირგაბმულობაზე და გამტარ დამტენზე)

➔ გაითვალისწინეთ მე-20 გვერდზე მოცემული „სპეციფიკაციები“.

☑ მიყევით ავტომობილის სახელმძღვანელოში მოცემულ ინსტრუქციებს.

დენცქვიტა კონექტორი ტიპი



IEC 60309-2
CEE 16/3
კემპინგის ტიპი



□□□ □ □□□□ □□□□□-
□□□□□

9. დენის სადენები ადგილობრივი ელექტრული დენცქვიტებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ქვეყნის ვერსიებისთვის

დენცქვიტა კონექტორი ტიპი



NEMA-5-15
B ტიპის



CEE 7/7
ტიპი E/ტიპი F „Schuko“



BS 1363
G ტიპის



AS 3112
I ტიპის



GB 2099.1
I ტიპის



SEV 1011
J ტიპის

დენცქვიტა კონექტორი ტიპი



AFS NIT 107-2 D1
K ტიპის



CEI 23-50
L ტიპის



SANS 164-1
M ტიპის



NBR 14136
N ტიპის



TIS 166-2549
O ტიპის



IRAM 2073
I ტიპის




CNS 690
B ტიპის

ICCB:

- IEC 61851-1 ელექტრო სატრანსპორტო გამტარი დატენვის სისტემა - ნაწილი 1: ძირითადი მოთხოვნები
- დამინების მონიტორინგი
- ტექნიკიდან გამომდინარე, ICCB ზომავს დამცავი გამტარის წინააღობას და აჩერებს დამუხტვის პროცესს, თუკი გაზომილი მნიშვნელობა ძალიან მაღალია





- დამუხტვადი ამომრთველი PRCD-S (ელექტრო შოკის საწინააღმდეგო დაცვის მოწყობილობა)
- ამოიცნობს ხარვეზულ დენს და რთავს დამუხტვის პროცესს
- ავტომატური ტესტი, რომელიც თავიდან აიცილებს ყოველთვიური შემოწმების საჭიროებას ელექტროენერჯიის მიღების შემდეგ და თითოეული დამუხტვის ციკლის წინ

- დამუხტვადი ამომრთველი ჩართული/გამორთული
- გაკრვეული შეცდომების შემდეგ, დამუხტვის პროცესის გაგრძელება დაიშვება 5 წუთიანი ლოდინის პერიოდის შემდეგ
- შეცდომის გამოსწორების შემთხვევაში, მომხმარებლის ჩარევა არ არის საჭირო
- ტემპერატურის მონიტორინგი
- ICCB მუდმივად აკვირდება ყუთში არსებულ ტემპერატურას და ამით ხელს უშლის გარკვეულ პირობებში გადახურებას



10. ICCB-ის წინა მონიტორი

IC-CPD-ის წინა პანელი აღჭურვილია ოთხი ინდიკატორული სანათით:

1.  კვება განათებულია: ელექტროენერგია ქსელიდან ჩართულია და IC-CPD მზად არის გამოსაყენებლად
2.  იმუხტება ციმციმებს: მოციმციმე შუქი მიუთითებს, რომ ავტომობილს ენერგია მიეწოდება
3.  ტემპერატურა განათებულია: შიდა ტემპერატურა აჭარბებს გარგვეულ მნიშვნელობას
4.  ხარვეზი ციმციმებს წითლად: აჩვენებს დატენვის სისტემის გაუმართაობას

ოპერაციული რეჟიმის თანახმად, IC-CPD დამტენი მოწყობილობა ასხივებს მუდმივად განათებული ან/და მოციმციმე LED-ების სხვადასხვა კომბინაციას.

(დამატებითი ახსნა-განმარტებებისთვის იხილეთ ➔ გვერდი 17)



11. მოქმედება

თქვენი IC-CPD დამტენი მოწყობილობის მუშაობისთვის, დაიცავით შემდეგი ინსტრუქციები:

1. წაიკითხეთ სრულად და გაიგეთ ავტომობილის სახელმძღვანელო და IC-CPD დატენვის მოწყობილობის ინსტრუქციები




▶ სრულად ახსენით IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობის სადენი




2. დარწმუნდით, რომ კაბელები სწორად არის დარეგულირებული მთელს სიგრძეზე, რათა თავიდან აიცილოთ დაბრკოლებები



3. შეაერთეთ დენის წყარო დენცქვიტაში




4. დაელოდეთ სანამ დენის LED ნათურები სრულად არ აინთება




5. შეაერთეთ ავტომობილის კონექტორი სატრანსპორტო საშუალების დამმუხტველ შესაერთებელში



6. დატენვის პროცესი იწყება ავტომატურად



7. დატენვის პროცესის შესაჩერებლად, განბლოკეთ ავტომობილის დამმუხტველი შესაერთებელი და ამოიღეთ ავტომობილის კონექტორი



8. ამოიღეთ კვების ელემენტი დენცქვიტადან



9. შეინახეთ IC-CPD სატენი მოწყობილობა უსაფრთხო ადგილას

12. დიაგნოსტიკა

- ჩვენება: ხარვეზის ნათურამ გაანათა სამჯერ, რასაც მოყვამ ხანმოკლე გამორთვა



- შეამოწმეთ დენცქვიტა ან დაიცავით IC-CPD დამტენი მოწყობილობა მზის პირდაპირი სხივებისგან ან გაზრდილი ტემპერატურისგან


13. ხარვეზის გამოსწორება

გააგრძელეთ შემდეგნაირად:

- გამოაერთეთ მანქანის კონექტორი ავტომობილის დამტენი შესაერთებელიდან



- ამოიღეთ კვების ელემენტი დენცქვიტადან




- დაელოდეთ დაახლოებით 5 წამს



- შეაერთეთ კვების ელემენტი დენცქვიტაში




- დაელოდეთ სანამ დენის LED ნათურები სრულად არ აინთება



- შეაერთეთ ავტომობილის კონექტორი სატრანსპორტო საშუალების დამტენზე შესაერთებელში



- დატენვის პროცესი ავტომატურად გადაიტვირთება



შენიშვნა



თუკი ხარვეზის ნათურა ციმციმებს მუდმივად ნითლად პროცესამდე ან მის შემდეგ, არ გამოიყენოთ მოწყობილობა; დაუკავშირდით მომხმარებელთა რეგიონულ სერვისს (→ გვერდი 21)



14. ICCB-ის უკანა ეტიკეტი

კვება	დამუხტვა	ტემპერატურა	შერთვა	პიქტოგრამა	აღწერა
					ელექტროენერჯის მიწოდება არ გამოვლენილა
					IC-CPD მზად არის გამოსაყენებლად
					იმუხტება
					IC-CPD ამჟამად აწარმოებს თვით-ტესტს
					ნელი დატენვის პროცესი ტემპერატურის მომატების გამო. დატენვის პროცესს შეიძლება უფრო დიდი დრო დასჭირდეს
					ICCB-ის გაზრდილი ტემპერატურის გამო დამუხტვის პროცესი შეჩერდა შეამოწმეთ ქსელური დენცქვითა ან დაიცავით IC-CPD დამტენი მოწყობილობა მზის პირდაპირი სხივებისგან
					კვების ელემენტის ტემპერატურული ზრდის გამო დამუხტვის პროცესი შეწყდა
					ხარვეზი (→ გვერდი 16)
					ელექტროგადამცემი სისტემა გათიშულია ან შეუძლებელია გამოყენებულ იქნას მოცემული მოწყობილობის დასამუხტად ქსელის ელექტროსისტემა უნდა შემოწმდეს გამოცდილი ელექტრიკოსის მიერ

= ჩართული

= გამორთული

= ციმციმებს

15. მოვლა და შენახვა

საფრთხე

ელექტრული შოკი, მოკლე ჩართვა, ცეცხლი, აფეთქება

გაფრთხილება! ელექტროშოკისა და მონყობილობის დაზიანების რისკის შესამცირებლად, მაქსიმალური სიფრთხილით გაასუფთავეთ დენცეპიტა და კორპუსი.



განმინდეთ IC-CPD დამტენი მონყობილობა მშრალი ქსოვილით. არ გამოიყენოთ სანმენდი

საშუალებები ან აალებადი გამხსნელი, მაგალითად, ალკოჰოლი ან ბენზინი.



დასუფთავებით ან ქიმიკატებთან რაიმე სახის კონტაქტით შესაძლებელია

მონყობილობის დაზიანება, რაც ყოვლად დაუშვებელია.

16. პროდუქტის ცვლილება

გაფრთხილება!



პროდუქტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება

ან შეცვლა, რომელიც არ განხორციელებულა უფლებამოსილი სერვის-ცენტრის მიერ, გამოიწვევს FCC-ის შესაბამისობის დაკარგვას, რაც ყოვლად დაუშვებელია

17. განკარგვა



დეკომისიური მოწყობილობების განკარგვა უნდა განხორციელდეს ქვეყნის სპეციფიკური და რეგიონალური კანონებისა და

სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. მოწყობილობები და ბატარეები არასოდეს არ უნდა განლაგდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

- ჩამონერილი აპარატურა უნდა განთავსდეს ელექტრონული ნარჩენების შეგროვების ობიექტზე, ან განიკარგოს თქვენი დილერის დახმარებით
- შესაფუთი მატერიალი განიკარგება შესაბამისი კოლექციის ყუთებში მუყაოს, ქაღალდისა და პლასტმასისთვის

18. ინფორმაცია გარანტიის შესახებ

APTIV უზრუნველყოფს, რომ ეს პროდუქტი თავისუფალი იქნება მატერიალური და სამუშაო, ასევე დეფექტური და დიზაინური შეცდომებისგან, ერთი (1) წლის განმავლობაში, შექმნის ოფიციალური თარიღიდან. იმ შემთხვევაში, თუ ამ საგარანტიო ვადაში დადგინდა, რომ ნაკლოვანებაა მასალაში, წარმოებაში ან კონსტრუქციაში, APTIV, თავისი შეხედულებისამებრ, შეაკეთებს ან შეცვლის

დეფექტურ პროდუქტს. შესაკეთებელი ნაწილები და/ან ჩასანაცვლებელი პროდუქტი შეიძლება შეიცვალოს AP-TIV-ის შეხედულებისამებრ, ან ახალი ან შეკეთებული პროდუქტი. ეს შეზღუდული გარანტია არ შეიცავს დაზიანების შეკეთებას არასწორი ინსტალაციის გამო, პერიფერიული მოწყობილობების არასწორი კავშირის გამო, გარე ელექტრული ჩარევის, ავარიის, კატასტროფის, ბორბლად გამოყენებისა ან პროდუქტში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შედეგად, რომელიც არ არის დამტკიცებული ნერილობით APTIV-ის მიერ. ნებისმიერი მომსახურების რემონტი, რომელიც არ არის გათვალისწინებული შეზღუდული გარანტიით, უნდა შესრულდეს შეკეთების დროს გამოყენებული შესაბამისი განაკვეთებით, პირობებითა და წესებით.

ამ პროდუქტის მიმართ გამოყენებადი ნებისმიერი სხვა გამოხატული ან ნაგულისხმევი გარანტია, მათ შორის, კონკრეტული მიზნის ზოგადი ვარჯისიანობისა და გამოსადეგობის გარანტია, არ ითვლება. ზოგიერთ ქვეყანაში, ნაგულისხმევი გარანტიების გამორიცხვა არ არის ნებადართული, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი პასუხისმგებლობა შეიძლება არ ეხებოდეს თქვენს სიტუაციას.

თუ პროდუქტი არ შეესაბამება ზემოთ მოცემულ გარანტიას, თქვენი ექსპლუატიური უფლება დეფექტური პროდუქტის შეცვლა ან შეკეთება, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება APTIV-ის, გაყიდვების ან მომსახურების წარმომადგენელმა ან მმობელმა კომპანიამ

პასუხისმგებლობა გაუნოს დამკვეთს ან მესამე პირს რაიმე ზიანისთვის, რომელიც აღემატება პროდუქტის შექმნის ფასს. ეს შეზღუდვა ეხება ნებისმიერი სახის ზიანს, მათ შორის ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანის ანაზღაურებას, დაკარგულ მოგებას, დაკარგულ დანაზოგს ან სპეციალურ, შემთხვევით ანაზღაურებას, სადამსჯელო ან თანმდევი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც განპირობებულია ხელშეკრულების დარღვევის, სამართალდარღვევით ან სხვა საშუალებებით, ან თუ ასეთი ზიანი ემყარება პროდუქტის გამოყენებას ან არასათანადო გამოყენებას, მაშინაც კი, თუ APTIV-ის ან APTIV-ის უფლებამოსილი წარმომადგენლი ან დილერი მიერ მესამე პირებმა შეატყობინეს ასეთი ზიანის ან სხვა პრეტენზიების შესაძლებლობის შესახებ.

ზოგიერთ ქვეყანაში, შემთხვევითი ან თანმდევი ზიანის გამორიცხვა ზოგიერთი პროდუქტისთვის დაუშვებელია, ასე რომ, ეს შეზღუდვა ან გამორიცხვა შეიძლება არ ვრცელდებოდეს თქვენზე.

ეს გარანტია გაძლევთ კონკრეტულ იურიდიულ უფლებებს და შეიძლება გქონდეთ სხვა უფლებები, რომლებიც განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

გთხოვთ, დაუკავშირდეთ თქვენს მომხმარებელთან მომსახურების პერსონალს. თქვენი პასუხისმგებელი მომხმარებლის მომსახურებისთვის, გთხოვთ, გაეცნოთ თქვენი ავტომობილის სახელმძღვანელოს!

19. სპეციფიკაციები

ელექტრო სპეციფიკაცია

სიმძლავრე:	მაქს. 3.6 კვ (დამოკიდებულია მოდელსა და ვერსიაზე)
გამდინარე დენი:	მაქს. 16 ა (დამოკიდებულია მოდელის ვარიანტზე)
გამდინარე ძაბვა:	1-ფაზა 100 - 240 ვ ~ (დამოკიდებულია მოდელის ვარიანტზე)
ქსელური სიხშირე:	50 ჰც - 60 ჰც
ძაბვის კატეგორია:	II
შეფასებული მოკლევადიანი გამძლე დენი:	< 10 კა rms
რესიდუალური დენის მოწყობილობა:	A ტიპის
უსაფრთხოების კლასი:	II
IP უსაფრთხოების კლასი:	IP67 (ICCB)
კვების ბლოკის ვარიანტები:	გვერდი 12 ხელმისაწვდომი ელექტრული შესაერთებლები ინდუსტრიული დენცქვიტებისთვის ხელმისაწვდომი ელექტრული შესაერთებელი ადგილობრივი დენცქვიტებისთვის
მანქანების დამმუხტავი შესაერთებლებისა და საავტომობილო კონექტორების ვარიანტები:	გვერდი 11 ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალების დამტენი შემავალი ხვრელი და ავტომობილის კონექტორი

ზომები და წონა

IC-CPD დამტენის ზომები:	დაახლ. 3.74 დუიმი X 8.66 დუიმი X 2.32 დუიმი (95 მმ x 220 მმ x 59 მმ) (wxhxd)
IC-CPD დამტენის წონა:	დაახლ. 5.18 ფუნტი (2.35 კგ)

გარემო პირობები

ოპერაციული ტემპერატურა:	-22 ° F-დან +122 ° F-მდე (-30 ° C-დან +50 ° C-მდე)
შენახვის ტემპერატურა:	-40 ° F-დან +158 ° F-მდე (-40 ° C-დან +70 ° C-მდე)
ტენიანობა:	95%-მდე, კონდენსატორული
სიმაღლე:	მაქსიმუმ ზღვის დონიდან 16,404 ფუტი (5,000 მ)

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები

ევროკავშირის დირექტივები:	<ul style="list-style-type: none"> • 2014/35/EU, 2014/30/EU • 2011/65/EU
---------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------

სტანდარტები:	IC-CPD-ის დამტენი მოწყობილობა აკმაყოფილებს IEC და EN სტანდარტებს და რეგულაციებს ეროვნული კანონმდებლობის, ასევე ევროპული და საერთაშორისო დებულებების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესაბამისობის დეკლარაცია ხელმისაწვდომი გახდება
--------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

20. სერვისი



დახმარებისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ადგილობრივ დილერს.

საკონტაქტო მონაცემებისთვის, გთხოვთ, გაეცნოთ თქვენი ავტომობილის მფლობელის სახელმძღვანელოს! 📄



21. არჩევითი შუასადები (დამოკიდებულია მოდელზე)

მოხსენით შუასადები თუკი არ გჭირდებათ



მაქს. 3,3 ფუტი
(მაქს. 1 მ)